ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი **27.06.2019**
წელი
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **ვერიკო კვირკველია.**

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა.
მოწვეული <u>სტუმრები:</u> <u>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის</u> მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **ციცინო ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე **ზაზა წულაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების თავმჯდომარის მოადგილე **კარლო კვიტაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **გიორგი ხელაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **რუსუდან გვარჯალაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი **ნანა წილოსანი,** პეტიციის ინიციატორი **ირაკლი მახარაძე,** მოქალაქე **რევაზ მახარაძე,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ნონა იმნაძე,** ჟურნალისტი **ლაშა სარჯველაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში" პეტიციის განხილვისა და შესწავლის შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ,,გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში" პეტიციის განხილვისა და შესწავლის შესახებ" საკითხი კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ და აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა პეტიციის ავტორი ირაკლი მახარაძე. კომისიის თავმჯდომარემ თქვა, რომ მისასალმებელია ელექტრონულ პეტიციასთან დაკავშირებით რეგლამენტში განხორციელებული ცვლილება და რომ პირველი ელექტრონული პეტიციის ინიციატორი ბატონი ირაკლი მახარაძეა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მხარეთმცოდნეობის წინ მდებარე მოედნისთვის გურული მხედრების სახელის მინიჭება, რომელიც სიმბოლოა გურიის, როგორც კულტურულ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებში. კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლის ასეთი სასიამოვნო წინადადებით შემოსვლისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ განმარტა, რომ საკრებულოს ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა მოსაზრება პეტიციასთან დაკავშირებით. მათი აზრით ,,გურული მხედრების სახელი უნდა მიენიჭოს ქალაქის ცენტრში, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებულ სკვერს, ვინაიდან გამვლელი ტურისტებისთვის ეს ადგილი უფრო ხელმისაწვდომი და თვალსაჩინოა.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პეტიციის ავტორს ირაკლი მახარაძეს, რომელმაც მადლობა გადაიხადა მოწვევისთვის და აღნიშნა, რომ მისთვის პეტიციის წარდგენა დიდი პატივია, რადგან გურული მხედრები არის ნამდვილი სახე გურულების და სწორედ გურულებმა, პირველებმა გაჭრეს ფანჯარა საქართველოდან დასავლეთში.

აზრი გამოთქვეს: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პეტიციას და დასძინა, რომ უკეთესი იქნებოდა გურული მხედრების სახელობის მოედანი მოწყობილიყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან, რადგან უფრო მარტივი აღსაქმელი იქნებოდა მუზეუმიდან მიღებული შთაბეჭდილებები შემდგომი თვალსაჩინოებისთვის.
აღნიშნულ პეტიციას მხარი დაუჭირა ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების თავმჯდომარის მოადგილემ კარლო კვიტაიშვილმა ასევე მხარი დაუჭირა პეტიციას. მისი

თქმით, ლანჩხუთის ცენტრი არის მცირე ფართობზე გადაჭიმული და კარგი იქნება მისი გაფართოება როგორც კომერციული ისე კულტურული თვალსაზრისით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე ციცინო ჩხაიძე მიიჩნევს, რომ სწორია გურული მხედრების სახელობის მოედნის მოწყობა ქალაქის ცენტრში არსებულ სკვერში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა, რომ აღნიშნულ ადგილზე იგეგმება საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაწყება, ასევე წარმოიშობა მთელი რიგი ბიუროკარატიული წინაღობები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ, ასევე მხარი დაუჭირა პეტიციას. მისი თქმით, ლანჩხუთი არის ძალიან პატარა ქალაქი და ასეთი ღირსშესანიშნაობებით უფრო გაშლის და გაალამაზებს, ასევე ტურისტების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რაიონისთვის. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და სხვა ტექნიკური საკითხები განხილულ იქნას სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

კომისიის წევრმა, გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში უნდა დაიდგას მუდმივი აფიშა, რომელიც ტურისტებს მიიზიდავს და მიუთითებს მოედნის განთავსების ადგილს, რაზეც ირაკლი მახარაძემ უპასუხა, რომ იდეაში არის ასეთი აფიშის დადგმა, რომელზეც გამოსახული იქნება ცხენზე ამხედრებული გურული მხედარი. ხოლო იდეის შემდგომი განვითარების პერსპექტივის ჭრილში, ტექნიკურ ნაწილში დაამატა, რომ ასევე მოედანზე შესაძლებელია დაიდგას უნაგირის ფორმის სკამები.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნონა იმნაძე, დაეთანხმა მოსაზრებას ლანჩხუთის ცენტრის გაფართოების თაობაზე. აგრეთვე სხდომას და სტუმრებს გააცნო პროექტი, რომლის მიხედვითაც მუზეუმში შესაძლებელია გაკეთდეს ხალხური რეწვის ნიმუშების სალონი პირველ სართულზე, სადაც ასევე გაიყიდება გურული მხედრების გამოსახულებიანი სხვადასხვა სუვენირები.

მაია კუპატაძის მოსაზრებით, არ არის მიზანშეწონილი გურული მხედრების სახელობის მოედანი გაკეთდეს ქალაქის ცენტრში, რადგან პეტიცია რა ფორმულირებითაც არის წარმოდგენილი მხარი მოსახლეობის ერთმა პროცენტმა, 400-მდე ადამიანმა დაუჭირა. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პეტიცია ამ სახით იქნეს მიღებული, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ალტერნატიული ვარიანტი შემოთავაზებული იყო საკრებულოს რამდენიმე წევრის მიერ და მისი უგულებელყოფა არ იქნება სწორი, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას საკითხზე იღებს საკრებულოს სრული უმრავლესობა.

რუსუდან გვარჯალაძემ ისაუბრა პეტიციასთან დაკავშირებით და როგორც კირილე ხოფერიას და იოსებ მშვიდობაძის შთამომავალმა, მოიწონა და მიესალმა წარმოდგენილ ვარიანტს. მან აღნიშნა, პირველ რიგში სახელის მინიჭება უკვე მნიშვნელოვანი მონაპოვარია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო სხვა დანარჩენ საკითხებზე საუბარი გაგრძელდება რა თქმა უნდა სხვა ფორმატში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე.

2. სხვადასხვა საკითხები.

ვინაიდან კომისიის წევრების მიერ სხვა საკითხები არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა პეტიციის ავტორს ბატონ ირაკლი მახარაძეს, მოწვეულ სტუმრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ვერიკო კვირკველია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №6

ლანჩხუთი 27.06.2019 წელი

1. ,,გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში" პეტიციის განხილვისა და შესწავლის შესახებ.

დასკვნა:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27.06.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	12.00	
2	კახა ბოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ქურიძე	11:55	
4	კახაბერ ასკურავა		